ხიდი

ყველაფერს მოკლედ მოვყვები. ძალიან მოკლედ. იმიტომ, რომ ყველაფერი ძალიან მოკლე დროში მოხდა. აზრზე მოსვლაც ვერ მოვასწარი, ისე გადამხდა თავს.

 გრძლად მოყოლის თავი არც მაქვს. საერთოდ რომ არ მოვყვე კიდევ, ეგეც არ შემიძლია. ვერ გავუძლებ.

იმით დავიწყებ, რომ, იმ დილით მაგარ დამპალ ხასიათზე ვიყავი. ძილში სამჯერ მომელანდა ჩემი მკვდარი მამინაცვალი და ჩამძახა: „თაზო, გაკოტრდები შე ნაბიჭვარო, შენა! დაგენძრა ბიზნესებში!“ სამჯერ!

ჯერ ქარხანაში ჩავედი, მუშებს დავაცხრი, ვიყვირე, ვიუფროსე, ვიგინე. რო არ იყვირო არც გამოვა, იქ ისეთი ხმაურია.

ქარხანას ვეძახი, თორემ ისე ჩვენი მდინარიდან ხრეშის ამოღება მიდის, მტვრევა,მდინარეშივე რეცხვა და რამე. ჩემსოფლელი ერთი-ორი მყავს მუშად. ძირითადად უცხოები. ძირითადად რა, ჰა�ა-ჰაა 20 კაცია სულ. ჩემსოფლელები ცოტა დაცხვირულები დადიან, მარა მაინც არ ვძულვარ არავის. თან ფულიანი ბიჭი ვარ, რა იცი, სად დაგჭირდეს, რა გასაჭირში. თან არ ვარ ისეთი, რო ხელი არ გავუმართო. სოფელია, რა.

საქმეში არ მინდა შინაური. არ ვარგა ბიზნესში შინაური. უცხო ჯობია. შინაური უფრო ჩაგიყოფს ცხვირს სადაც საჭირო არაა, უფრო გაიტანს ამბავს, უფროც შურს და უფროც გიღალატებს.

რამაზა მეუბნება არაა ეგრეო. მარა ეგრეა. რავი, მე ეგრე მგონია.

მოკლედ, მოვქოქე მუშები. ერთია, ცოტა უჟმური კაცია, გოგი. მგონი ქარელიდანაა ჩამოსული. ექსკავატორზე მიზის. რო შევედი, ზურგით იდგა, რაღაცნაირად წახრილი. მეთქი სიგარეტს ეწევა. დავუღრიალე კაი მაგრად და შემოტრიალდა, თურმე ხელი გაუჭრია, სისხლი სდის, რაღაცას ისვამს, იოდს. შემომხედა. უარეს დამპალ ხასიათზე დავდექი.

მოვაჯექი მანქანას. იმ დღეს შავი ნისანით ვიყავი. ჯერ ბეემვეთი დავაპირე, მერე _ შინდისფერი ლენდ-როვერით. შინდისფერი-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ვერცხლისფერიც მყავს. მანქანებზე ჭკუა მაქვს გადაკეტილი. ჯერ ოთხი მყავს, მაგრამ კოლექციონერი დავირქვი უკვე. ეს ახლები ხო მომწონს, მაგრამ ერთი მაინც ძველებური რომ არ დავითრიო, არ არსებობს. ახლა მთლად ჰიტლერის ნაჯდომს ვერა, მაგრამ...

ქარხანა ცოტა ზემოთ მაქვს, მთლად სოფლის გასწვრივაც არა. ბუნტაობს ცოტა ხალხი. უფრო ძველები. კომუნისტების თაობა. მაგათ ბიზნესები არ ეხატებათ გულზე.

რამაზას ჩავუარე, ჭიშკართანვე დამხვდა. ჩამიჯდა და ჩართო ეგრევე მუსიკები ხმამაღალზე. დავეშვით რაიონისკენ. რაღაცები გვაქვს საყიდი. ეს ზის, მუსიკას აყოლილი თავს, ტანს ფეხებს ატოკებს, კევს აღლარჭუნებს, განცხრომაშია. მე ისევ იმ დამპალ ხასიათზე ვარ. უარესზეც. იმ გოგის შემოხედვა გამომყვა.

დაუწიე მეთქი რაა! _ რამაზას მინდა ვუთხრა. უკვე პირსაც ვაღებ და უცებ, დედ-მამის სულებს ვფიცავარ, ჩემი ერთადერთი და და ჩემი პატარა დიშვილი დამეფიცება, _ ქალღმერთს ვხედავ! ველოსიპედით! ის იქედან მოდის, ჩვენ აქედან. ისეთია, ვერც აღწერ რა!

ჩაგვიარა. არც მოუხედავს. სამაგიეროდ მე ისე მივაყოლე თვალი, გზიდან გადავედი და ლამის გოგაძეების ჭიშკარს შევასკდი.

_ რა იყო ბიჭო!! _ გადმოკარკლა თვალები რამაზამ. მუსიკები გამორთო ეგრევე.

ჯერ ხმა ვერ ამოვიღე და ბოლოს ამოვუთქვი:

_ ვინ იყო, რო ჩაგვიარა. ველოსიპედით.

_ ლამარასთან რო ძმიშვილი ჩამოდიოდა ხოლმე ადრე თბილისიდან, გახსოვს?

_ არა.

_ რა გემახსოვრება, ეგ მაშინ სკოლის ღლაპი იყო, შენ კიდე ბიზნესები გაბოდებდა. ლამარას ძმა და რძალი ამერიკაში არიან, ამას კიდევ _ ევროპებში უსწავლია, ძმაო, არც გაეხუმრო.

_ არც ვეხუმრები. _ ვთქვი, _ ჩემი ცოლი გახდება.

რამაზას კევი გადაცდა და ხველება აუტყდა. ბეჭებზე მუშტი ჩავთხლიშე და ვკითხე:

_ ლამარას, შენუბნელია და გეცოდინება, რა პრობლემა აქვს.

_ ძროხა მოუკვდა. _ მიპასუხა რამაზამ ხველებ-ხველებით. _ მგონიქმარი არ უტირია ეგრე, იმ ძროხას რო ტირის საწყალი.

_ ამ საღამოს ერთად მივალთ.

რამაზას აღარაფერი უპასუხია. მუსიკები ჩართო. კარგად იცის, რასაც ვიტყვი, ეგრეც იქნება.

***

საღამოსკენ, კაი გამოზმანულმა, სახლიდან გასვლისას ერთი შევავლე თვალი ჩემ თავს სარკეში და კმაყოფილად გამეღიმა: ეგრევე სიძედ წარმომიდგა თავი და გვერდით ჩემი ველოსიპედიანი ქალღმერთი.

რამაზა ჩავისვი და ხუთიოდე სახლს იქით, ლამარამდე მაინც მანქანით გავსწიეთ.

_ ბიჭო, ძაან უცნაური აზრები აწვალებს თურმე მაგ გოგოს, _ მეუბნება რამაზა გზად, _ დედაჩემმა მითხრა, ლამარას უთქვამს, მწვანეებშიაო თუ რაღაცა... სულ ეკოსისტემა და სულ ეგეთი რამეები აკერია პირზეო. მანქანებს ძაან ცუდი თვალით უყურებს თურმე, გარემოს დაბინძურების ამბავში. დაგეტოვებინა ჩემ ჭიშკართან, ჯობდა.

_ კაი ტოიოტა ქამრის რო ვუყიდი და დავსვამ საჭესთან, მერე კარგი თვალით შეხედავს. _ ვთქვი.

_ რავი, იქით ველოსიპედზე არ გადაგსვას, ნელა იყავი, ძმა. _ თქვა რამაზამ.

გაგვეცინა ორივეს.

***

რამაზასი არა, მაგრამ ჩემი დანახვა ლამარას კარგა მაგრად გაუკვირდა. შეცბასავით. კაკლის ქვეშ იჯდა, გორად დახვავებულ ხმელ ლობიოს არჩევდა. წამოდგა და წამოფაშფაშდა. ხალათზე ხელებს იწმენდდა და მოდით ბიჭებო, მობრძანდითო, _ თან გვეპატიჟებოდა.

ეზოს თვალი მოვავლე. ბეღელთან ველოსიპედია მიყუდებული. „სახლშია“ _ გავიფიქრე და რაღაცამ თბილად და ტკბილად გადამირბინა გულზე.

ჩამოვსხედით კაკლის ქვეშ და ლამარას ვეუბნები :

_ ლამარა დეიდა, მე არ გამიგია, ახლა მითხრა რამაზამ, ძროხა მოგკვდომია...

ეგრევე წამოცრემლდა. ამოვიღე ჯიბიდან კონვერტი და გავუწოდე:

_ ეს გამომართვი, _ ვეუბნები, _ ახალი იყიდე, კარგი ძვირფასი ძროხა მოგივა მაგდენად.

იტკიცა ხელი:

_ უი, არა, არა, გენაცვალე, ეგ რანაირად, ეგ როგორ, ეგ... უი, ღმერთო მომკალი, ეგრე როგორ შეიძლება, შვილო... _ თან მაჩეჩებს კონვერტს უკან, მაგრამ არ ვანებებ, ხალათის ჯიბეში ვუტენი.

ხმაურზე, ზემოთ, ხის ძველისძველ აივანზე გამომავალი კარი გაიღო და ჩემი ქალღმერთი გამოვიდა.

_ ჩამოდი, მამიდა, ჩამოდი... _ ასძახა გულაჩუყებულად ლამარამ, _ აგე, რაები ხდება...

ჩამოუყვა კიბეს. გული მიჩქარის. წამოვიდა კაკლისკენ. რაღაცნაირი სიარული აქვს _ თუ რბილია, თუ მსუბუქია, რავი, გულზე მაგრად მეფონება.

_ ეს რამაზია, ჩვენი ახლო მეზობელი. რომ ჩამოდიოდი, ბავშვი იყავი, რა გეხსომება. ეს კიდევ თაზოა, ამ ჩვენ მხარეში ყველაზე დიდი ბიზნესმენი.

_ და ბუნების მტერი. _ თქვა გოგომ და ხელი გამომიწოდა, _ ანა.

წამიერად წამოვენთე ბრაზით შიგნიდან, მაგრამ ხელი იყო ისეთი ლამაზი, და ამ სიმწარის მთქმელი ტუჩებიც იყო ისე ლამაზი, და ხმაც იყო ისსე ლამაზი, რომ როგორც წამოვენთე, ეგრევე ჩავქრი.

_ თაზო. თამაზი.

_ მტერი რატომაა, შვილო, ან ბუნების, ან ადამიანის? აგე, გაიგო ჩემი უბედურება და ძროხის საყიდი ფული მომიტანა.

_ ეგ რა მოსატანია. _ ვთქვი, მაგრამ ცოტა კი გავიფხორე.

_ ჰოო, _ თქვა ჩემმა ქალღმერთმა და ხორბლისფერი კულულები მხარსუკან გადაიყარა, _ ერთი ძროხა კი იყიდა, მაგრამ ასი ძროხა საძოვარი ჭალების განადგურების გამო საშიმშილოდ გაიმეტა.

წამოვენთე ისევ. რამაზამ გადმომხედა ნიშნისმოგებით.

_ ჭალებს მე რას ვერჩი! _ ვთქვი ოდნავი ბრაზით.

_ არაფერს, შვილო, არაფერს, ეს ჩემი ანა ეკოლოგისტია თუ რაღაცაა და... რა ხარ მამიდა?

„ქალღმერთი“ _ გავიფიქრე.

გოგომ არ უპასუხა, მხოლოდ მხრები აიჩეჩა ოდნავ და პატარა სამფეხა სკამზე დაჯდა.

_ ჰოო, მწვანეა, მწვანე... _ გაიხსენა ლამარამ.

_ მწვანე არა ისა, მშვენიერ ფერზეა გოგო! _ თქვა რამაზამ. ყველას გაგვეცინა.

_ მოკლედ, ილაპარაკეთ თქვენ, გაერთეთ, მე კიდევ ცხელ-ცხელ ხაჭაპურებს დაგიცხობთ ხელდახელ, _ თქვა ლამარამ და განცალკევებით მდგარი პატარა სამზადისკენ წაფაშფაშდა.

_ ვაჰ, სიგარეტი დამრჩენია, _ თქვა რამაზამ, _ სახლში ჩავირბენ, ამოვიტან.

და ჭიშკრისკენ წაძუნძულდა. სიგარეტის ყუთის კუთხე მოუჩანდა ჯინსის უკანა ჯიბიდან არადა.

გაგვეცინა ორივეს.

რამაზამ ჭიშკარი გააღო და ჩემმა შინდისფერმა ლენდ-როვერმა გაიელვა.

_ სოფლის მანძილებზეც მანქანით გადაადგილდებით? _ ოდნავ დამცინავად მკითხა გოგომ.

_ ჰო, რა იყო, აკრძალულია?

_ არა. მაგრამ ზოგი რამე ადამიანმა თვითონ უნდა აუკრძალოს საკუთარ თავს.

_ ეგეთი, რომ იცოდე, სამი მყავს კიდევ.

_ მით უარესი თქვენთვის.

_ შენთვის, რაა. შენობით ვიყოთ. სოფელია, სოფელს სითბო უყვარს, არ უყვარს ეს თქვენობები.

_ მანქანები დიდი თემაა. მდინარიდან ინერტული მასალების არასწორად მოპოვებაც დიდი თემაა.

გავიცინე, კაკალს ავხედე, ცას. ღრმად შევისუნთქე:

_ რა ეტყობა ახლა ამ ჰაერს მოწამლულობის! _ ვთქვი.

სოფელს ბინდი დასდგომოდა. მზის ჩასვლის ადგილას მხოლოდ მოწითალო ღრუბლებიღა დარჩენილიყო. უჰჰჰ, კარგია! მე რა. განა მე არ მიყვარს ეს ყველაფერი! _ ჭრიჭინების და ბაყაყების ხმა, აქა-იქ პირუტყვის ბღავილი, სიმინდების შრიალი ღობის იქით, ლამარას ხაჭაპურების სურნელი...

უეცრად კაკლის ხიდან კარგა მსუქანმა მუხლუხომ მოადინა ტყაპანი ზედ ჩემი ქალღმერთის ფეხებთან. მან იკივლა, უკან გადაქანდა, სამფეხა ჯორკო აყირავდა და უცებ წელში რომ არ ვწვდომოდი და არ დამეჭირა გოგო, ცუდად წავიდოდა საქმე.

დავიჭირე ეგრე, ხელებში მყავს მოქცეული, მის ნაზ ნეკნებს ვგრძნობ ხელისგულებით, მისი ლამაზი ყელი თათრად ქათქათებს ბინდში... სუნთქვა შემეკრა. გულმა ყურებში დამიწყო ბაგუნი. რა დამემართა არ ვიცი, ჩემკენ მოვიზიდე და იმ მწარე-მწარე სიბრძნეების მოლაპარაკე ტუჩებში ვაკოცე.

ისე დაიბნა, შეწინააღმდეგებაც ვერ მოახერხა.

ამ დროს რამაზას ხმაც მოისმა ჭიშკრიდან:

_ აი, მეც მოვედიიი! ბიჭო, ბიჭო, მთელ უბანში დგას ლამარას ხაჭაპურების სურნელი!

ჩვენ ცოტა უხერხულად დავუხვდით. ცოტა შემცბარად. ცოტა ალეწილებიც ვართ, მაგრამ არ ჩანს ბნელში.

_ ბუნების დამცველს ეგრე უნდა ეშინოდეს რაღაცა საცოდავი ჭიის? _ ვეუბნები ანას სიცილით, _ დავიჯერო, მაგისი დამცველიც ხარ? დავიჯერო, შენი ნება რომ იყოს, არ გააქრობდი დედამიწის ზურგიდან?

_ წავალ, მამიდას მივეხმარები, _ თქვა ანამ, წამოდგა და სამზადს მიაშურა.

_ ვააჰ, ბიჭოო, ხუთი წუთით დაგტოვე და ხუთ წუთში რა მოასწარი, რომ უკვე ტუჩებში კოცნი! _ მეუბნება რამაზა დაბალ ხმაზე, _ ჯადო გაქვს რაღაცა რაა, რასა ჰგევხარ არადა! _და მხიარულად აფხუკუნდა.

_ კოცნა არ იყო ეგ. _ ვთქვი.

ეგრეც ვფიქრობდი. არ იყო კოცნა. გოგოებთან ტუჩებში პროშტნაობის მეტი რა ვიცი, მაგრამ ეს სხვა რამე იყო. რავი, რა იყო. სიყვარული ალბათ.

რაღაცნაირად, მორიდებულად ვჭამეთ ხაჭაპური ყველამ. რაღაცა ჩამოდგა, უხილავი უცხოობა თუ პირიქით, უხილავი სიახლოვე. მერე წინწკვლა დაიწყო. მე და რამაზა ავჩქარდით. ლამარას მადლობების თქმა აღარ ვაცალე,

_ ხვალ ჩემს ქარხანას დაგათვალიერებინებ. ნახე და ამიხსენი აბა, რას ვაშავებ, _ ვუთხარი ჭიშკარში გამოსვლისას ანას. არაფერი უპასუხია.

ზემოთ, მთებისკენ მაგრად ელავდა. მერე დაუშვა. მანქანიდან სახლამდე ისე გავილუმპე, გასაწური გავხდი. ჩემი და დაფაცურდა: თავზე პირსახოცი, ფეხზე ჩუსტი, ცხელი ჩაი... მე კიდე, კონიაკი ჩამოვისხი და ვთქვი:

_ ნელიკო, მოდი იმ მუხლუხოს გაუმარჯოს, საჭირო დროს რო ჩამოვარდება კაკლიდან...

ჩემმა დამ ერთი კი ასწია წარბები გაკვირვებით, მარა თავისი გამო**ევებული ყოფილი ქმრისგან ისეთი ჭირს დალევაზე და სადღეგრძელოზე, ეგრევე გავიდა და გაიხურა კარი.

***

სოფლის გასწვრივ, ჩვენი მდინარის ხიდზე ვიდექით. სახეში ჯერაც წვიმის სიგრილიანი ქარი გვცემდა. მუქი ღრუბლებიდან დროდადრო მზე ანათებდა. მდინარე მღვრიე და ადიდებული მოდიოდა, წუხანდელი თავსხმის კვალი აჩნდა. თანაც ზემოთ, მთებისკენ, ახლაც რუხი ბურუსი იდგა, ეტყობა ისევ წვიმდა.

თითქმის მთელი საათი ათვალიერა „ქარხანა“ ჩემმა ქალღმერთმა. ტუჩებმოკუმული დადიოდა, ყველაფერს აკვირდებოდა. ამასობაში კი მე მის სახეს ვაკვირდებოდი, მის ტუჩებს, მის ცხვირს, შუბლს, თმას... რა ვიცი, რა დამემართა, ასე რამ გამაგიჟა, თავს ვეღარ ვცნობდი.

ისეთი ხმაური და გრუხუნი იდგა, ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა. ნაწვიმარი კი იყო, მაგრამ მტვრის ბუღი მაინც ტრიალებდა. ერთი არ წამოუხველებია, ერთი არ მოუსრესია თვალები, სერიოზული სახით მიდი-მოდიოდა და მეც ჩრდილივით დავყვებოდი...

***

ახლა ხიდზე ვდგავართ და ველოდები, რას იტყვის.

_ ლიცენზია ალბათ არ გაქვს. _ თქვა. თვალი თვალში გამიყარა.

_ მაქვს, რატო არა მაქვს?! _ ვთქვი, მაგრამ არ დამიჯერა.

_ არ გაქვს. უნებართვოდ გაქვს ყველაფერი. არასწორად. სახიფათოდ. ცუდად.

_ ხრეშია რა! ვიღებ, ვამტვრევ, ვრეცხავ, ვყიდი. ევროპებში რა, არ ხდება ეგრე?

_ არ ხდება. მდინარის ცოცხალ კვეთში ამას იქ არავინ დაუშვებს. ევროპაში ქვიშას და ხრეშს კარიერული წესით მოიპოვებენ. ეს ცოტა ძვირია, მაგრამ სამაგიეროდ არ გაწირავ ბუნებას... მდინარეს, თევზებს... ჭალებს... მთელ ეკოსისტემას.

_ მოკლედ, ბუნებისმკვლელი გამოვდივარ რა, _ ვთქვი და გაავებულ, მღვრიე ტალღებს ჩავაშტერდი. ეს ყველაფერი, ეს ეკოსისტემა და მდინარის კვეთი და მთელი ლექცია მე და ამ გოგოს შორის დიდ ნაპრალს აჩენდა. _ ამისთანა ბუნებისმკვლელს და არაადამიანს ვინ გამომყვება ცოლად?... აი, შენ, გამომყვები?

წამით ერთმანეთს დავაცქერდით, გუშინდელი კოცნის აბლაბუდა შემოგვეხვია, წამით ისევ უცნაურად დავახლოვდით.. ხელი მის ყელთან ჩახვეული კულულისკენ წავიღე, ისევ ამიბაგუნდა ყურებში გული... მაგრამ ანამ თმა სწრაფად გადაიწია უკან და თქვა:

_ ნუ გწყინს. შენი ბიზნესი ნამდვილად დამანგრეველია აქაურობისთვის.

ხელი უკან წამოვიღე, ჯიბიდან სიგარეტი ამოვაცოცე და სანამ მოვუკიდებდი, ვკითხე:

_ შეიძლება? სამყაროს ხომ არ მოვწამლავ? _ მაგრამ მან თავისი ლექცია განაგრძო:

_ გგონია, უბრალოდ იღებ, ამტვრევ, რეცხავ და მორჩა? იცი, რომ უკონტროლო, ველურ ინდუსტრიაში ხარ ჩართული? იცი, რას ნიშნავს მაღალი ბიოკონსერვაციული ღირებულების მდინარე? იცი, რომ ეს, კონკრეტულად ეს მდინარე მსოფლიო მნიშვნელობისაა? მსოფლიო მდინარეების ხუთეულში შედის? იმიტომ, რომ აქ ზუთხისებრი თევზები ბუნებრივად ქვირითობენ! იცი, რომ ექსკავატორების მუშაობით მდინარის ჰაბიტატების მთლიანობა ნადგურდება?!!

„ჰაბიტატები... ბიოკონსერვაციები... რეებს ამბობ, გოგო, აზრზე არ ვარ!“

_ იცი, რომ ფსკერზე ექსკავატორებით ქვიშის თხრა მდინარეს ადაბლებს, აღრმავებს, კალაპოტს სამუდამოდ უმახინჯებს? რომ მერე, ასეთ კალაპოტში დინება უფრო ჩქარი და საშიშია? ნახე.. აბა შეხედე, ეს დინება ხომ ძალიან სწრაფია!! იცი, რომ გრუნტების გრანულომეტრია იცვლება?! გგონია, აქ თხრი და მორჩა? იცი, რომ მაქსიმალური დიაპაზონი 10 კილომეტრია? აღარც ჭალა, აღარც არაფერი! და იცი, რომ ეგ მტვერი კრისტალურია? მისი ჩასუნთქვა ძალიან მავნებელია! საბოლოოდ, ის მაინც მდინარეში ხვდება და უბრალოდ, ხოცავს თევზს, ხოცავს!! და იმ მტვერის ყლაპვა?!! იცი, რომ შენი ყველა მუშა ყოველდღიურად ავადდება? იციი?! იცი, რომ ხიდს, რომელზეც ვდგავართ, ბურჯები უკვე სანახევროდ გაშიშვლებული აქვს? რატომ?!! კალაპოტის დადაბლებისგან! ძირის გამოთხრისგან! იცი, რომ ერთი ძლიერი წვიმა ზემოთ, ერთი ღვარცოფი და...

აღარ ვაცალე. მაგრად მოვხვიე ხელები, მაგრად ჩავიკარი გულში და მაგრად, მაგრად ვაკოცე ტუჩებში, რომლითაც ამდენი გაუგებარი, უცხო სიტყვა დამიშინა ტყვიასავით.

_ მე ის ვიცი, რომ თავზე დამატყდი, _ ხან ჩავძახოდი, ხან ვკოცნიდი, _ შენ ხარ ჩემი ღვარცოფი! ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ იტყვი! ყველაფრის გამოსწორება შეიძლება! _ ლამის ვყვიროდი, მაგრამ ჩემი ხმა მაინც იკარგებოდა მდინარის და ქარის გუგუნში. _ მიყვარხარ! გაიგეე?!! მიყვარხარ!!

და უცებ ხიდი რაღაცნაირად, უცნაურად შეტორტმანდა. მერე, თითქოს მუხლები მოეკეცაო, ჩაიჩოქა... მერე ჩაიბზარა, გადაიხსნა და იმ გადახსნილში ასე ჩახუტებულები გადავცვივდით ორივენი...

***

თვალები რომ გავახილე, რამაზა დავინახე. თეთრი კედლები. ფანჯარაში _ აკაციის ტოტები.

წამოვიწიე, მაგრამ რამაზამ საწოლს დამაკრა.

_ იწექი, არ გაინძრე. ტვინის შერყევა გაქვს. ექიმს ელაპარაკა ახლა ნელიკო.

უცებ ძარღვებში თითქოს სისხლი გამეყინა. კითხვის დასმაც ვერ შევძელი. თითქოს დავმუნჯდი. რამაზას თვალებში მივაშტერდი და იმანაც ეგრევე მიპასუხა:

_ ცოცხალია. სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს. კარგად ჩაიარაო, რავი. ჯერ რეანიმაციაშია, მერე პალატაში გადაიყვანენ. ჯერჯერობით სძინავსო. უნდა იძინოსო. ან როგორ გადაარჩინე, ძმაო, ან შენ როგორ გადარჩი... ან იმ ხიდს რატომ გამოეცალა ბურჯი... ან... ან.. დაიცა, სად მიდიხარ, ბიჭო! ოეეე, თაზოოო!...

***

 მესამე დღეა ვზივარ შენს საწოლთან... და ასე ვიჯდები. სანამ თვალებს არ გაახელ... სანამ არ შემომხედავ... სანამ არ გამიღიმებ... სანამ არ მაპატიებ... სანამ არ მაპატიებთ ყველა... შენც... ლამარაც... გოგიც... მდინარეც... თევზიც... ხიდიც... ცაც... ჭალაც... მთელი სამყარო...